რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი

დაიბადა 1978 წლის 21 აგვისტოს.

2006 წლიდან ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

2011 წელს იყო აკადემიური მკვლევარი ფრიბურგის უნივერსიტეტში (შვეიცარია).

2007 წელს ლიმერიკის უნივერსიტეტში (ირლანდია) გაიარა საზაფხულო კურსი ევროპული ინტეგრაციის საკითხებში.

2000 წელს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში (უნგრეთი) მოიპოვა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრის ხარისხი.

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

1998-1999 წლებში გაიარა სამოქალაქო განათლების პროექტის (CEP) კურსები.

2006 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი იყო ლიბერალური აკადემია თბილისის (LAT) დირექტორი.

2012 წლის იანვრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე ის იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე.

2008 წლიდან დღემდე ილიას უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს ევროპათმცოდნეობაში.

2002-2010 წლებში იყო ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდის კონსულტანტი საქართველოში.

2007-2009 წლებში იყო ევროპის სტაბილურობის ინიციატივის (ESI) ანალიტიკოსი საქართველოში.

2004-2006 წლებში მუშაობდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში სახელმწიფო მინისტრის თანაშემწედ და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროს სპეციალისტად.

2001-2002 წლებში იყო ჰამბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) ეუთოს კვლევის ცენტრის (CORE) მკვლევარი.

2002 წელს იყო ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და თავდაცვის სამმართველოს მკვლევარი-თანაშემწე - ბრიუსელი, ბელგია.

2001 წელს იყო მიწვეული მკვლევარი-თანაშემწე უმცირესობების საკითხთა ევროპულ ცენტრში (ECMI) - ფლენსბურგი, გერმანია.

2000-2001 წლებში იყო რედაქტორის თანაშემწე ელექტრონულ ჟურნალ Transition Online-ში.

2002-2004 წლებში მუშაობდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში (ICCN) პროგრამის მენეჯერად და უფროს ანალიტიკოსად.

1998-1999 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში მთავარ სპეციალისტად.

1998 წელს იყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორის თანაშემწე.

1996-1998 წლებში იყო გაეროს ახალგაზრდული ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების (UNOY) პროექტების ასისტენტი.

ქეთევან ციხელაშვილი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.